

სკოლის სოციალური მუშაობა და სოციალური პედაგოგიკა ადგილობრივი
და საერთაშორისო გამოცდილება
(ქეისის ანალიზი)

ავტორი: ნინო გოლიაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრანტის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ,
გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც
ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული წესების შესაბამისად.*

ნინო გოლიაძე

28.06.2018

აბსტრაქტი

სკოლის სოციალური მუშაობა შედარებით ახალი და ჯერ ისევ დაუმუშავებელი თემაა ჩვენი საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გერმანიასა და შვეიცარიაშიც კი მხოლოდ და მხოლოდ 35 წელს ითვლის. სკოლის სოციალური მუშაობა ნაწილობრივ სკოლის მხარდაჭერის განუყოფელი ნაწილია და ამ სფეროში მუშაობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

სკოლის სოციალური მუშაობის შესახებ პირველად როცა გავიგე, დავრწმუნდი, რა როლი ჰქონდა ამ სფეროს განათლების სისტემაში და სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შემდეგ დავინტერესდი, რატომ არ იყო ჩვენს ქვეყანაში ეს სფერო, რომელიც ასე დადებითად მუშაობს ამერიკაში, რა უშლიდა ხელს მის განვითარებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

მე იმდენად დავინტერესდი ამ საკითხით, რომ გადავწყვიტე კვლევა დამეწყო ჩემი ამჟამინდელი სამუშაო ადგილიდან „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლიდან“ .

ეს ორმაგად საპასუხისმგებლო და საინტერესო იქნებოდა, რადგან ერთის მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნე ვალდორფის სკოლა წარმოადგენს ჩემს სამუშაო ადგილს და მეორეს მხრივ, მოცემული სკოლა დღესდღეობით მსოფლიოში არსებული განათლების რეფორმისაგან განსხვავებულ ალტერნატიულ სწავლების მეთოდს სთავაზობს საზოგადოებას. განათლების მიღების ვალდორფის სკოლის მეთოდი მიუხედავად იმისა, რომ უკვე 100 წელია მსოფლიოში არსებობს და წარმატებითაც ფუნქციონირებს, მაინც ბადებს გარკვეული საზოგადოებისათვის უამრავ კითხვასა და უნდობლობას, გარკვეული ჯგუფი კი ამ სკოლას „მომავლის სკოლასაც“ კი უწოდებს თავისი განსხვავებული სწავლის სპეციფიკიდან გამომდინარე. „ეს ახალი სკოლა, უნდა ქეშმარიტად ჩაერთოს მასში, რასაც სწორედ დღევანდელ დღეს და უახლოეს მომავალში მოითხოვს კაცობრიობის განვითარება.“ (რ. შტაინერი „ზოგადი ადამიანთმცოდნეობა როგორც პედაგოგიკის საფუძვლები“ 1980.)

ჩემი კვლევის მიზანი იყო გამეგო თუ როგორ ვითარდებოდა სკოლის სოციალური მუშაობა წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში, რა აკავშირებდა სკოლის სოციალურ პედაგოგიკას, როგორც პედაგოგიურ მიმართულებას და ვალდორფის სკოლებს ერთმანეთთან და როგორ არის ვალდორფის სკოლებში განვითარებული სკოლის სოციალური სამუშაო, როგორ აერთიანებს რუდოლფ შტაინერის მიერ დაარსებული ვალდორფის სკოლა პედაგოგსა და სოციალურ მუშაკს. ამისათვის ჩავატარე ინტერვიუები თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის პედაგოგებთან და ამავდროულად განვიხილავდი სხვადასხვა ქვეყნების პედაგოგების საქმიანობებს, მათ შორის გერმანიის, შვეიცარიისა და ნიდერლანდების, რადგან სწორედ ამ ქვეყნებში დაარსდა პირველი ვალდორფის სკოლები.

იმისათვის რომ კვლევა უფრო ძლიერი და რელევანტური ყოფილიყო, გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუ, თბილისის თავისუფალ ვალდორფის სკოლაში ინტერვიუ ჩავუტარე 3 პედაგოგსა და 3 მოსწავლეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლის სოციალური პედაგოგიკა, სოციალური სამუშაო, რთული ქცევის მქონე ბავშვები, ვალდორფის პედაგოგიკა.

Abstract

School social work is a new and still not processed theme for our society. Must be noted the fact that social work in schools exists just 35 years even in Germany and even in Switzerland. Social work at school is partially the indivisible part of supporting school and working in this field is becoming more and more important.

When I first heard about the social work at schools, and the role it played in an educational system, also in everyday life of school, I was interested why was this field more developed in our country and furthermore, the fact that the field works so well in USA, why was it difficult to develop in different countries of Europe, that was very important fact for me.

I was so interested with the topic, I decided to begin making a research from my nowadays working place “Tbilisi free Waldorf School”.

(R. Steiner „General human sciences as the basis for pedagogy“)

That would be a big responsibility for me. On the first hand, as I have already mentioned above, Waldorf School is the school I am working right now and on the other hand, Waldorf school offers a different alternative method of teaching, different from the educational reform existing in the world now. In spite of the fact that the method of getting education through Waldorf methods exists already for 100 years in the world and functions with a big success, still it makes a part of society ask questions and they express their distrust. Another part of society calls the school “A school of future” due to its different specifics of studying. “That new school should truly take part in the activities that now and in close future the mankind will ask for” (R. Steiner,)

The aim of my research was to understand how social work at school was developing during time in different countries, what was the connection between the school social pedagogy and Waldorf School, how social work is improved in Waldorf Schools, and how Waldorf School, created by Rudolf Steiner connects a teacher and a social worker. For that reason, I made

interviews with teachers from Tbilisi Free Waldorf School and meanwhile I was discussing different works of teachers from different countries, for example, from Germany, Switzerland and Nederland.

The research to be stronger and more relevant, I used a method of making deep interview. I made an interview with 3 teachers and 3 pupils from Tbilisi Free Waldorf School.

Key words: School social pedagogy, Social work, Children with difficult behavior, Waldorf pedagogy.